შებენდრის ფასილოტატორი ერთმანეთს ადარებს ვერტიკალურ და პორიზონტალურ სვეტში ჩანერჩილ პროექტებს და კენჭს უყრის თითოეულ მათგანს. თვალნათლევ ეს პროცესი შეგვიძლია დაუინახოთ ტევშით მოცემული ცხრილის მაგალითზე

№		1	2	3		
	საპროექტო იდეა	წყლის სიტემის რეაბილიტაცია	სკოლის და-ზიანებული საბურავის შეკეთება	გზის მოხრეშვა	ჯამი	პრიორიტეტი
1.	წყლის სიტემის რეაბილიტაცია	X	წყლის სიტემა	წყლის სიტემის რეაბილიტაცია	2	1
2.	სკოლის დაზიანებული საბურავის შეკეთება	X	X	გზის მოხრეშვა	0	3
3.	გზის მოხრეშვა	X	X	X	1	2

ცხრილში თავიდან ერთმანეთს ეადარებთ ორ პროექტს - ვერტიკალში ჩანერილ პირველ პროექტს - "წყლის სისტემის რეაბილიტაცია" პორიზონტალში მეორე ნომრად ჩანერილ პროექტს - "სკოლის დაზიანებული სახურავის შეკეთება" და მოსახლეობას უთხოვთ გადაწყვიტონ ამ ორს შორის რომლის განხორციელებაა სოფლისთვის უფრო სასარგალო-გადაუდებელი; ის პროექტი რომელიც უფრო მეტ ხმას დააგროვებს, ჩანერება ამ ორი პროექტის გადაკვეთაზე; ჩვენს შემთხვევაში, როგორც ეს ცხრილიდან ჩანს, მეტი ხმაა დააგროვა წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროექტმა.

შემდგომ, ვერტიკალის პირველი პროექტი ედრება პორიზონტალის მესამე პროექტს და მათი გადაკვეთის ადგილას სვეტში იწერება ის პროექტი რომელიც მეტ ხმას მიიღებს. ჩვენს შემთხვევაში, ისევ წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროექტმა დააგროვა მეტი ხმა. მას შემდგომ რაც დასრულდება ვერტიკალის პირველი პროექტის შედარება პორიზონტალის ყველა პროექტთან გადაედვიართ ვერტიკალის მეორე პროექტზე რომელიც ასევე უნდა შედარდეს პორიზონტალის ყველა პროექტთან; (ერთი და იგივე პროექტებს ბუნებრივია არ ეადარებთ ერთმანეთს და ასევე ორჯერ არ ეადარებთ პროექტებს ერთმანეთს. მათი გადაკვეთის ადგილი ცარიელი რჩება ან უბრალოდ X-ებს დაესვამთ.)

მას შემდგომ რაც დასრულდება პროექტების ერთმეორესთან შედარება, გადაედვიართ გრაფაზე "ჯამი"; მის ქვემოთ ვერტიკალში ჯამდება თუ თითოეულმა პროექტმა სხვა პროექტებთან შედარებისას რამდენჯერ დააგროვა მეტი ხმა; ჩვენს შემთხვევაში წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროექტმა ორჯერ დააგროვა სხვა პროექტებთან შედარებით მეტი ხმა, გზის მოხრეშვის პროექტმა მხოლოდ ერთხელ, ხოლო სკოლის სახურავის შეკეთების პროექტმა ვერ ერთხელ ვერ დააგროვა სხვა პროექტებზე მეტი ხმა და შესაბამისად მიიღო ნული ქულა;

ყველზე ბოლოს ვაფხვებთ უკანასკნელ გრაფას "ადგილი" სადაც იწერება თუ რომელმა პროექტმა რომელი ადგილი დაიკავა პრიორიტეზაციის პროცესში. ჩვენი ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე სასარგალოდ და აუცილებლად განსახორციელებელი მოსახლეობისათვის აღმოჩნდა წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროექტი, შემდეგ გზის მოხრეშვის და ბოლო ადგილზე გავიდა სკოლის სახურავის შეკეთება.

II რამოდენიმე კრიტერიუმით ჩანერების მეთოდი

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პროექტების პრიორიტეზაცია შეიძლება განხორციელდეს რამოდენიმე კრიტერიუმის ერთობლივად გამოყენებით. მსგავსი მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობა თვალნათლივ დაინახავს თუ რომელი პროექტის განხორციელებაა უკეთესი და რატომ. აღნიშნული პროცესი აიოლებს კონსენსუსის მიღწევას და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას;

ჩვენს შემთხვევაში, ქვემოთ მოყვანილია ცხრილი სადაც პრიორიტეზაციისათვის გამოყენებულია სამი სხვადასხვა კრიტერიუმ: განხორციელების ვადები, ღირებულება და პროექტის განხორციელებადობა. ამ უკანასკნელში იგულისხმება როგორც ტექნიკური ასევე სოციალური ასპექტი, ანუ თუ ვინ იქნება პროექტის მმართველი და მონინააღმდეგე (თუკი პროექტის განხორციელებას ბევრი მონინააღმდეგე უკოლება ძალაუფლებითა და რესურსებით აღჭურვილი, პუნებრეია პროექტის განხორციელებადობა სათუო იქნება), ხოლო ტექნიკურ განხორციელებადობაში კი იგულისხმება თუ რამდენად შეუძლია თვითმართველობას საკუთარი რესურსით (როგორც ფინანსური ასევე ადამიანური) პროექტის დამოუკიდებლად განხორციელება ან რამდენად ადექვატურია არსებული გარემო პირობები (კლიმატური თუ გეოგრაფიული) პროექტის განხორციელებლად.

№	პროექტი	ადგილი	ფარგვადა	ღირებულება	განხორციელებადობა
1	მკონს სისტემის რეაბილიტაცია	3	ბანგკოკში	მარალი	მარალი
2	მონს მონკაპა	2	სამუარო	სამუარო	სამუარო
3	სამონს სამუაროს ბადაბნარა	1	მონკა	მარალი	მარალი

III კარიანტი (ეკონომიკური ეფექტი)

აღნიშნულ შემთხვევაში გამოიყენება ეკონომიკური ეფექტის კრიტერიუმები, ანუ პრიორიტეზაცია ხორციელდება იმის მიხედვით, თუ რა ეკონომიკური ეფექტი მოქვეება პროექტის განხორციელებას.

ეკონომიკური მატრიცის გამოყენებით ხორციელდება სამპროექტო იდეების ეკონომიკური პოტენციალისა და პერსპექტივის განსაზღვრა.

ეკონომიკური მატრიცა საშუალებას იძლევა მონანილებმა ერთმანეთს შეადარონ განსხვავებული იდეები. მონანილებს თავადაც შეუძლიათ დაამატონ კრიტერიუმები.

თითოეული კრიტერიუმის მიხედვით საპროექტი იღვას ენიჭება ქულები 1-დან ზემოთ იმის მიხედვით, რამდენი საპროექტი იღვა გვაქვს.

ეკონომიკური მატარეა

საპროექტი იღვა	კრიტერიუმი
	შეზღვევს უფრო სხვა პროექტს, ხელს შეწყობს პრაქტიკული სახეობის ადგილების შექმნას
	შეზღვევს უფრო სხვა პროექტს, ხელს შეწყობს პრაქტიკული სახეობის ადგილების შექმნას
	შეზღვევს უფრო სხვა პროექტს, ხელს იღოს ხელს იღოს წყაროების განხორციელება
	შეზღვევს უფრო სხვა პროექტს, ვინაიდან იღობს ნაშრომადგენელი მუშაკების
	შეზღვევს უფრო სხვა პროექტს, შეძლების კომპლექსური როლის უზრუნველყოფის განხორციელებას
	შეზღვევს უფრო სხვა პროექტს, ნაშრომის განხორციელებას / ინვესტიციებს
	შეზღვევს უფრო სხვა პროექტს, შეძლების ადგილობრივი რეკონსტრუქციის განხორციელებას
	სხვა
	რამდენიმე

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება

“დარჩი სადაც ხარ,
გამოიყენე რაც გაქვს,
გააკეთე რაც შეგიძლია”.

პიტერ დრაკერი

პიტერ დრაკერი

2009 წელს საქართველოში პირველად განხორციელდა „სოფლების დახმარების“ პროგრამა. როგორც მოსალოდნელი იყო, დაფინანსებული პროექტების უმრავლესობა სოციალური ხასიათის იყო, სამომავლოდ, მოსალოდნელია, რომ შეტი ყურადღება ეკონომიკური ეფექტების მომტან პროექტებს დაეთმოს. მდენად, მიზანშეწონილად მიუჩნეოთ რამდენიმე სიტყვით შევქრებულყოფით ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ფაქტორებზე.

ქვემოთ ვისაუბრებთ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტალური ფაქტორების² შესახებ. მათი კარგად გაგება და გააზრება აუცილებლად დაეხმარება სოფლების ლიდერებს სწორად შეარჩიონ ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული პროექტები.


ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის შეიძი ფაქტორია გადამწყვეტი. ესენია:

1. ინფორმაცია და ინოვაცია
2. კაპიტალი და უნარ-ჩვევები
3. ინფესტიციები
4. ერთობლივი მუშაობა/პარტნიორობა
5. კონკურენტული უპირატესობა
6. პოლიტიკური ნება და მხარდაჭერი გარემო
7. განვითარების შესაძლებლობები

² ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ფაქტორები მომზადდა იორგ მუიერ სტამპერის წიგნის - PACA - კონკურენტული უპირატესობის თანამონანილეობრივი შეფასება, დაჯრდნობით CHF და კიუიტას გეორგიკას მიერ GEII პროგრამის (დააფინანსა აშშ განვითარების სააგენტომ) ფარგლებში 2006 წელს.

ՆՐՅՈՒՄՑԻՈՅԻ ԴԻՄԵՄՈՒՅԻՆ ԶՈՅՈՒՄՆԵՐԻ 7 ՑԱԺՄԻՈՒ

«ՆԱՅԴԵՆԻՈՒ»
3



ՈՒՄՆԵՐԻ ՆՐՅՈՒՄՑԻՈՅԻ

ინფორმაცია და ინოვაცია

ინფორმაცია აღნიშნავს თუ რამდენად ხელმისაწვდომია ეკონომიური გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო მონაცემები. მსგავსი ინფორმაცია მოიცავს საგადასახადო კოდექსსა და ზონებად დაყოფის კანონს, ან ექსპორტის წესებს. იგი ასევე მოიცავს ინფორმაციას მომხმარებლის მოლოდინის, ხარისხის სტანდარტების, სატრანსპორტო არქეანისა და კონკურენციის ძლიერი თუ სუსტი მხარეების შესახებ. ინფორმაცია ასევე მოიცავს მონაცემებს იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება ისეთ ბიზნეს ტრენიგებში მონაწილეობის მიღება, რომლებიც გეასწავლის ბიზნეს გეგმის შედგენას, ბუღალტერიის წარმოებასა და ასევე ინფორმაციას გეძლევს იმ საკრედიტო ინსტიტუტების შესახებ, რომელთა დახმარებით ხდება სასოფლო-სამეურნეო თუ სხვ. ბიზნესის გაფართოება საქართველოს რეგიონებში.

ადგილობრივი ეკონომიური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია კერძო პროდუქტის ირგვლივ ღირებულებათა ჯაჭვის შესახებ ადეკვატური ინფორმაციის მიღება. ღირებულებათა ჯაჭვი განისაზღვრება როგორც მოვლენათა სერია, რომელიც ნედლეულს გარდაქმნის იმ პროდუქტად, რომელიც საბოლოოდ აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს. ეს შესაძლებელია იყოს ისეთი მარტივი პროდუქტი როგორცაა რძე, ასევე უფრო რთული პროდუქტი ავტომობილი ან სახლი¹.

საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებელი წყაროებია:

- მას მედია (რადიო, ტელევიზია, პრესა, ბიზნეს პუბლიკაციები)
- სავაჭრო ქალაქი
- ბიზნეს ან პროფესიული ასოციაციები
- ადგილობრივი ან რეგიონალური ბაზრის შესწავლა
- პროფესიონალები, როგორებიც არიან აურისტები ან წარმატებული ბიზნესმენები

ინოვაცია მოიცავს უკვე არსებული რესურსების ხელახალ დალაგებას და ხდება მათი ახალი გზითა და გაუმჯობესებული სახით გამოყენება. ეს არ ნიშნავს რაიმე ამსოლუტურად ახალის შექმნას, არამედ ეს არის უკვე არსებულის ახალ ბტილში განლაგება. ინოვაცია ადგილობრივი ეკონომიური განვითარების ცენტრალური ელემენტია რადგან ის ვეღვაზე უფრო მზა გზას წარმოადგენს ეკონომიური სარგებლის მოსაპოვებლად. ეს არის უკვე მიღწეულის გარდაქმნა.

¹ ჯორჯ შვიერ სტამერი, PACA – კონკურენტული უპირატესობის თანამონაწილეობრივი შეფასება, PACA კონცეფციების შესახებ სახელმძღვანელო, ვერსია 4.0, იანვარი 2003, გვ. 103.

კაპიტალი და უნარ-ჩვევები

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პრინციპია რესურსებისა და კაპიტალის რაციონალური გამოყენება.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით კაპიტალი ორმაგად შეიძლება განიშარტოს. ერთის მხრივ, კაპიტალს სუფთა ფინანსური დატვირთვა აქვს. ანუ, კაპიტალს წარმოადგენ ნებისმიერი ფულადი ღირებულების ობიექტი ან ეკონომიკური რესურსი რომელსაც ფლობს ან აკონტროლებს კერძო პირი ან ორგანიზაცია თქვენი სოფლის ტერიტორიაზე. ეს განმარტება ჩვეულებრივ დაკავშირებულია მატერიალურ საგნებთან, ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან, კერძო საკუთრებასა და ფულთან. უფრო ფართო განმარტებას რაც შეეხება, კაპიტალი განიშარტება როგორც გამოყენებული ან ღირებულების მქონე კვალიფიკაცია. მაგალითად: უნარ-ჩვევები, ცოდნა, გამოცდილება, ძალაუფლება და ურთიერთობა/კავშირები ძალაუფლების მქონე პირებთან ან ორგანიზაციებთან. კაპიტალის აღრიცხვისას უნდა მიაქციოთ ყურადღება ისეთ კითხვებს თუ ვის იცნობთ, რა იცით, რისი გაკეთება შეგძლიათ კარგად. ასევე ყურადღება უნდა მიაქციოთ ფულად ან ფიზიკურ საკუთრებას. კაპიტალს კრიტიკული როლი უნიჭება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის თანამშრომლობის დაშვარების პროცესში.

ინვესტიცია

ინვესტიცია ერთმანეთთან აკავშირებს რესურსებსა და კონკრეტულ, საქმიანობებსა და ახალ იდეებს. ეს რესურსები შეიძლება იყოს ადგილობრივი, მაგალითად ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, კერძო ინვესტორის ან ბიზნესის, ადგილობრივი მთავრობის, ისეთი გარე წყაროების საკუთრება როგორცაა რეგიონალური და ეროვნული მთავრობა, ღიფი კომპანია ან უცხოური ფირმა. ინვესტიცია ჩვეულებრივ ნიშნავს ფინანსურ შენატანს მაგრამ ის შესაძლებელია აღნიშნავდეს ფროს, გამოცდილებას და მატერიალური რესურსებს.

ერთობლივი მუშაობა და პარტნიორობა

ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში ერთობლივი მუშაობა აღნიშნავს დაინტერესებულ პირთა ფართო სპექტრის წართვის საჭიროებას. დაინტერესებული პირები შეიძლება იყვნენ ადგილობრივი ბიზნესმენები, ისეთი ჯგუფები, როგორცაა ახალგაზრდული ან პროფესიული გაერთიანებები, ფერმერთა ასოციაციები, პროფესიული სკოლები და პოტენციური ინვესტორები, სამიზნე პროდუქციის ან ბიზნესის სექტორისა და ტიპიდან გამომდინარე წარმატებული

კონკურენციისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი დაინტერესებული პირების ჩართვა მათ განვითარებაში.

ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში ერთობლივი მუშაობას მიყვავართ კლასტერის შექმნის იდეისაკენ. კლასტერი არის მცირე და საშუალო ბიზნესის/სოფლის/სოციალური ჯგუფი რომელმაც გადაღება "მარტოდ" ყოფნის პრობლემა და სპეციალიზაციისა და სიახლეების ბაზაზე შექმნა წარმატებული კონკურენციის გარემო. ერთობლივი მუშაობით იქმნება ადგილობრივი უპირატესობები, რომლებიც არ არის მარტივად ადაპტირებადი სხვა გარემოში*. ამ კლასტერის წევრებმა ინდივიდუალური კავშირების შექმნის მიზნით შეიძლება ღირებულებათა ჯაჭვი მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგინონ.

ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში "პარტნიორობის" იდეა არ მოიცავს საერთო სარგებლის მისაღწევად შეთანხმებას. პარტნიორობა მტადრო კავშირშია ასევე გარე ორიენტაციასთან ანუ იგი დაინტერესებულია მიიღოს ინფორმაცია გარე წყაროებიდან და ეძებოს თანამშრომლობის გზები. პარტნიორობა მოიცავს იმ ინდივიდების, სააგენტოების, კომპანიებისა და სამთავრობო (ცენტრალური თუ ადგილობრივი) ოფისების წარმომადგენელთა ძიების პროცესს, რომელსაც შეუძლია შექმნას კონკურენტუნარიანი გარემო. მსგავსი პარტნიორული ინიციატივების განხორციელება კლასტერის ფორმირების პირველი ეტაპია.

ერთობლივ მუშაობაში ცენტრალური ადგილი "ლიდერობას" უჭირავს. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების წარმატებისათვის აუცილებელია იყოს ლიდერი, რომ ჩამოყალიბდეს საერთო ხედვა. მნიშვნელოვანია, რომ ხელმძღვანელობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც კერძო ინდივიდებით, ისე ინდივიდთა ჯგუფით, რომლებიც პატივს სცემენ და პასუხისმგებლები არიან ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში სოფლის მოსახლეობის საჭიროებებსა და მიზნებისადმი.

კონკურენტული უპირატესობა

კონკურენტული უპირატესობა გამოიყენება ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში უპირატესი და შედარებითი კონკურენციის გასამიჯნად. შედარებითი კონკურენცია მოიცავს იაფ მუშახელს ან ბუნებრივ რესურსებს. უპირატესი კონკურენცია კი იქმნება - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ შედარებითი კონკურენცია მოიცავს კონკურენტულ კომპანიებს შორის უპირატესობის შექმნას სიახლეების დანერგვით. კონკურენტული უპირატესობა მოიცავს პროდუქციის, არსებული პრაქტიკისა და მარკეტინგის გაუმჯობესებას. კლასტერების შექმნა

* იორგ შეიერ სტამერი, PACA - კონკურენტული უპირატესობის თანამონაწილეობრივი შეფასება. PACA კონცეფციების შესახებ სახელმძღვანელო. ვერსია 4.0, იანვარი 2003, გვ. 94.

არის კონკურენტული უპირატესობის მაგალითი რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას.

პოლიტიკური ნება და მხარდამჭერი გარემო

ეს ორი ტერმინი გამოხატავს ადგილებზე ეკონომიკურ ინიციატივათა განვითარებისათვის ადგილობრივ და უროვნულ პოლიტიკურ მხარეთა მხარდაჭერის საჭიროებას ბიზნეს ინიციატივებისა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დამცავი კანონმდებლობისა შექმნის გზით. მთავრობამ უნდა შექმნას სტიმული, როგორც ინიციატივებისათვის ისე სოფლებში დაინტერესებული პირებისათვის.

შესაძლებლობა

ეს ტერმინი დაკავშირებულია სოფელთან გარე მოთამაშეების თანამშრომლობის ინიციატივის შესაძლებლობასთან. თქვენს რეგიონსა და ტერიტორიაზე, ისეთ საკითხებშიც კი, რომელთაც თქვენ ზედაეთ და აკეთებთ ყოველდღე შეიძლება გამოიყოს თანამშრომლობის, საქმიანობის გაფართოების, მოდერნიზაციის და ა.შ. შესაძლებლობები. გაზრდილ პოლიტიკურ ნებასთან, ერთობლივი მუშაობასთან, ინვესტიციათა გაძლიერებასა და კაპიტალისა და უნარ-ჩვევების გაზრდასთან ტანდემში, შესაძლებლობები გამოვლინდება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მშენებლობის პროცესში.

და ბოლოს, აქვე აღენიშნავთ, რომ ექსპერტები სასოფლო ტერიტორიების განვითარებისთვის გვირჩევენ ყურადღების გამახვილება მოხდეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- სამომავლო შედეგებზე გათვლილი ინვესტირება ადამიანურ რესურსებში
- ნოუ-ჰაუ და კაპიტალი ფერმერობასა და სატყეო სექტორში
- მოგება-მოგება (win-win) მიდგომების დანერგვა გარემოსდაცვით სფეროში, მინოფების ახალ გზებზე და საშუალებებზე
- ახალი და უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვებისათვის.

როგორ ჩაერთოთ მოსახლეობა სოფლის პროგრამების გამოვლენაში?

უკვე რამდენჯერმე აღინიშნა, რომ პრობლემების გამოვლენის, პრიორიტეტიზაციის და პროექტების შერჩევა-განხორციელების პროცესში სოფლის მეცხოვრებლების მონაწილეობა გადამწყვეტია წარმატებისთვის. ამ ნაწილში ჩვენ ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა ინსტრუმენტები შეიძლება გამოვიყენოთ სოფლად არსებული პრობლემების გამოსაგეგმად. აქ შესაძლოა არჩეულ იქნეს სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები, როგორცაა:

- გამოკითხვების ჩატარება
- შეხვედრები მცირე ჯგუფებთან
- სოფლის კრების/ყრილობის მონევა
- საჯარო განხილვები

თითოეულ ინსტრუმენტს აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარე. ის თუ რომელს აირჩევთ, დამოკიდებულია შემდეგ პირობებზე:

- რა არის თქვენი მიზანი
- მოსახლეობის მონაწილეობის საჭიროება
- მოსახლეობის მონაწილეობის სურვილი
- არსებული რესურსები
- გრაფიკი

განუხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

გამოკითხვების ჩატარება

კითხვარების გამოყენება საშუალებას გაძლევს სწრაფად მივიღოთ დიდი რაოდენობით მონაცემები. პასუხები შეიძლება დაითვალოს ან სხეანაირად დამუშავდეს რაოდენობრივად, რაც მნიშვნელოვანია რესპონდენტების მიერ პრობლემების გაცნობიერების დონის განსაზღვრის თვალსაზრისით.

ანკეტის მომზადება და გამოკითხვის ჩატარება მოითხოვს გარკვეულ ცოდნას, როგორ უნდა შემუშავდეს ანკეტა, ეინ უნდა გამოიკითხოთ, რა რაოდენობით და როგორ უნდა ჩატარდეს ანკეტირება. ამასთანავე, გამოკითხვის ჩატარება მოითხოვს დიდ დროსა და ფინანსურ რესურსს (საკანცელარიო და სატრანსპორტო ხარჯები). მიღებული პასუხების რაოდენობა შეიძლება იყოს მცირე, განსაკუთრებით თემის გარკვეულ სექტორებში, საბოლოოდ, ხშირად, შედეგი ასახავს პასუხებს მხოლოდ იმათგან, ვინც საერთოდ უპასუხა. პასუხები არის კარგი იმდენად,

რამდენადაც არის კარგი კითხვები. ანუ კითხვები ხანდახან ასახავს იმ ადამიანის სუბიექტიუიზმს, ვინც ადგენს კითხვას. ასევე შესაძლოა მოხდეს შედეგების არასწორი ინტერპრეტირება — მასში იმაზე მეტის ამოკითხვა, რაც სინამდვილეში სოფლად არსებული პრობლემების გამოსაწვლენად ანკეტაში ვაფალიბებთ სხვადასხვა სექტორებს/სფეროებს, რომელშიც შესაძლოა პრობლემები არსებობდეს, მაგალითად: სოციალური, ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა, განათლება და თითოეული მათგანისათვის ვაფალიბებთ ღია კითხვებს:

აღნიშნული კითხვების მაგალითებია:

გარემო პირობები: ხდება თუ არა ბუნებრივი რესურსების დაცვა? შესაძლებელია დაბინძურების დონის დაწვეა?

ინფრასტრუქტურა: რა მდგომარეობაშია არსებული გზები, ხიდები და სხვა ინფრასტრუქტურა?

განათლება, სოციალური მომსახურება, დასვენება: იღებენ თუ არა მოსწავლეები ხარისხიან განათლებას? იღებს მოსახლეობა ხარისხიან ჯანდაცვის მომსახურებას? არის თუ არა თქვენი შექმნილი დასვენების პირობები? რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა განათლებაში? ჯანდაცვაში? როგორია წყლის სისუფთავის ხარისხი?

კულტურული მემკვიდრეობა: არის თუ არა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დაცული? იმართება კულტურული (მუსიკა, თეატრი) ღონისძიებები?

კითხვებზე შესაძლოა პასუხების ვარიანტები მოწაადგეს ან თავისუფალი სივრცე დაეტოვოს რესპონდენტის პასუხის ჩასაწერად. პირველ შემთხვევაში, მონაცემების დამუშავება უფრო გაადვილებულია, თუმცა რესპონდენტს პასუხის თავისუფლების ნაკლებ სივრცეს უპატოვებთ. მეორე შემთხვევაში, მათ უფრო თუ ბევრი რესპონდენტი გვყავს, ანკეტების დამუშავება ძალიან გაძნელებულია. საჭირო გახდება პასუხების დაჯგუფება და სხვ. არ არსებობს რეცეპტი რომელი სახის კითხვების გამოყენება სჯობს, თუ როგორი სახის გამოკითხვის ჩატარებაა უკეთესი, თავად უნდა გადაწყვიტოთ.

მუშაობა ჯგუფებთან

ხშირია შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების რომელიმე ჯგუფის მოსახრება გვაინტერესებს (მაგალითად ექიმების, მასწავლებლების და ა. შ) ან მათი დამოკიდებულების გარკვევა გვსურს ანდაც გვინდა საკითხი უფრო დეტალურად განვიხილოთ და პრობლემების აღმოჩენის უწყობა. ასეთ შემთხვევაში, არაუფექტური იქნება (როგორც ფინანსური, ისე დროითი დანახარჯის თვალსაზრისით) ბევრი ადამიანის შეკრება და დიდი შეხვედრის ორგანიზება ან ძვირად ღირებული ანკეტური გამოკითხვის ჩატარება. საკმარისია შევხვედეთ რომელიმე დაინტერესებული მხარის ჯგუფის რამდენიმე წარმომადგენელს ან ერთ ჯგუფში სხვადასხვა ინტერესების ადამიანებს მოუუფაროთ თავი.

დაინტერესებული მხარე აღნიშნავს პირს, ჯგუფს ან ორგანიზაციას, რომელიც პირდაპირ არის დაინტერესებული ამა თუ იმ გადაწყვეტილებით, რადგან ან თავად ზემოქმედებს აღნიშნულ პროცესებზე, ან მასზე ზემოქმედებს შესაბამისი გადაწყვეტილებები და მოქმედებები.

დაინტერესებული მხარეები შეიძლება გამოდიოდნენ კონკრეტული გადაწყვეტილების როგორც მხარდამჭერად ასევე მონიშნაღმდეგად.

დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრაში შემდეგი კითხვები დაგეხმარებათ:

- ვინაა ყველაზე მეტად დაინტერესებული, ან ვინ მიიღებს ყველაზე მეტ სარგებელს გადაწყვეტილებიდან?
- ვის გააჩნია საკმარისი ძალაუფლება ან ზეგავლენა რათა ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს გადაწყვეტილების მიღება ან მისი განხორციელება?
- რა ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილებები შესაბამის დაინტერესებულ მხარეზე?
- როგორია შესაბამისი დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა (კომპეტენცია, რესურსები, უნარები, გამოცდილება) პრობლემის მოგვარების საქმეში?
- როგორია დამოკიდებულება აქვს შესაბამის დაინტერესებულ მხარეს სხვა პოტენციურ მონაწილეებთან? შეიძლება თუ არა იგი სხვებთან თანამშრომლობას?

ასევე მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ შესაბამისი ჯგუფების (ორგანიზაციების) როლი. არარეალისტურია ვიფიქროთ, რომ ყველა დაინტერესებული მხარე პირდაპირ და თანაბრად შეიძლება გადაწყვეტილების მიღების პროცესში

მონანიღობას. სახურველია ისეთი ჯგუფები და პიროვნებები შეარჩიოთ, ვინც ყველაზე დიდ ზეგავლენას განიცდის და ვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია პროცესზე. ხოლო მათ, ვინც ზემოთმოყვანილი კითხვებიდან მხოლოდ ერთ-ერთის პასუხში გამოიწინა, საკმარისია ინფორმაცია მიანოდოთ და კონსულტაცია გაიაროთ (მაგალითად საჯარო დისკუსიების სახით).

მცირე ჯგუფებთან მუშაობა საშუალებას იძლევა მშრალი მონაცემების მიღების გარდა გაეარკუოთ მონანიღეთა ემოციური დამოკიდებულება განსაზღვრული საკითხისადმი.

პირველ რიგში, საჭიროა ჯგუფის სწორად შერჩევა. ეთქვას, მისაღებია გადაწყვეტილება ჯანდაცვის სფეროში და გვანტერესებს ამ სფეროში მომუშავეთა დამოკიდებულება საკითხისადმი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს საკმაროდ დიდი ჯგუფია და იგი არ არის ერთგვაროვანი. აქ სხვადასხვა პროფესიისა და განათლების, ასაკისა და სქესის ადამიანები არიან. ამდენად, საკითხისადმი მანისმალურად ობიექტური დამოკიდებულების დასადგენად უნდა შევეცადოთ თანაბრად წარმოვადგინოთ ექიმები და ექთნები, ახალგაზრდები და ხანში შესულები, ქალები და მამაკაცები.

თავიდანვე ჯგუფის წევრებს ნათლად და გარკვევით უნდა აუხსნათ შეხვედრის მიზანი და რას მოითხოვთ მათგან.

ამის შემდეგ ყველა მონანიღეს უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას აზრი საკითხთან დაკავშირებით. აქ უკვე დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროცესის სწორად წარმართვას. შეხვედრის მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია სხვადასხვა ტექნიკის გამოყენება. მათ შორის იმითი, რომელიც ზემოთ იყო აღწერილი — გონებრივი შტორში, ბარათების ტექნიკა და სხვ. საკმაროდ ეფექტურია ე.წ. "ნომილური ჯგუფის ტექნიკაც"

დაინტერესებული მხარე აღნიშნავს პირს, ჯგუფს ან ორგანიზაციას, რომელიც პირდაპირ არის დაინტერესებული ამა თუ იმ გადაწყვეტილებით, რადგან ან თავად ზემოქმედებს აღნიშნულ პროცესებზე, ან მასზე ზემოქმედებს შესაბამისი გადაწყვეტილებები და მოქმედებები.

- დაინტერესებული მხარეები შეიძლება გამოდიოდნენ კონკრეტული გადაწყვეტილების როგორც მხარდამჭერად ასევე მონანიღადვე.
- დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრაში შეიძლება კითხვები დაგეხმარებათ:

- ეინაა ყველაზე მეტად დაინტერესებული, ან ეინ მიიღებს ყველაზე მეტ სარგებელს გადანვეტილებიდან?
- ეის გააჩნია საკმარისი ძალაუფლება ან ზეგავლენა რითა ხელი შეუწეოს ან შეაფერხოს გადანვეტილების მიღება ან მისი განხორციელება?
- რა ზეგავლენას ახდენს გადანვეტილებები შესაბამის დაინტერესებულ მხარეზე?
- როგორია შესაბამისი დაინტერესებული მხარის შესაძლებლობა (კომპეტენცია, რესურსები, უნარები, გამოცდილება) პრობლემის მოგვარების საქმეში?
- როგორი დამოკიდებულება აქვს შესაბამის დაინტერესებულ მხარეს სხვა პოტენციურ მონაწილეებთან? შეძლებს თუ არა იგი სხვებთან თანამშრომლობას

ასევე მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ შესაბამისი უკუფების (ორგანიზაციების) როლი. არარეალისტურია ეიფიქროთ, რომ ყველა დაინტერესებულ მხარე პირდაპირ და თანაბრად შეძლებს გადანვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას. სასურველია ისეთი უკუფები და პაროუნებები შეარჩიოთ, ეინც ყველაზე დიდ ზეგავლენას განიცდის და ეისაც ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია პროცესზე. ხოლო მათ, ეინც ზემოთმოყვანილი კიბხეებიდან მოლოდენითის პასუხში გამოჩნდა, საკმარისია ინფორმაცია მიანოდოთ და კონსულტაცია გაიაროთ (მაგალითად საჯარო დისკუსიების სახით).

მცირე უკუფებთან შეშაობა საშუალებას იძლევა მშრალი მონაცემების მიღების გარდა გაეარკვეოთ მონაწილეთა ემოციური დამოკიდებულება განსაბილველი საკითხისადმი.

პირველ რიგში, საჭიროა უკუფის სნორად შერჩევა, ეთქვას, მისაღებია გადანვეტილება უანდაციის სფეროში და გეაინტერესებს ამ სფეროში მომუშავეთა დამოკიდებულება საკითხისადმი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს საკმაოდ დიდი უკუფია და იგი არ არის ერთვეაროვანი. აქ სხვადასხვა პროფესიისა და განათლების, ასაკისა და სქესის ადამიანები არიან. ამდენად, საკითხისადმი მაქსიმალურად ობიექტური დამოკიდებულების დასადგენად უნდა შევეცადოთ თანაბრად ნარმოვადგინოთ ექიმები და ექთნები, ახალგაზრდები და ხანში შესულები, ქალები და მამაკაცები.

თავიდანვე უკუფის ნვერებს ნათლად და გარკვევით უნდა აუხსნათ შეხვედრის მიზანი და რას მოითხოვთ მათგან.

ამის შემდეგ ყველა მონაწილეს უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას აზრი საკითხთან დაკავშირებით. აქ უკვე დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროცესის ხნორად ნარმართვას. შეხვედრის მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია სხვადასხვა ტექნიკის გამოყენება. მათ შორის იმათი, რომელიც ზემოთ იყო აღწერილი — გონებრივი მტორში, ბარათების ტექნიკა და სხვ. საკმაოდ ეფექტურია ე.წ. "ნომინალური ჯგუფის ტექნიკაც"

ნომინალური ჯგუფის ტექნიკა

ნომინალური ჯგუფის ტექნიკა ბრუნსტორმინგის ალტერნატიულ ვარიანტს ნარმოადგენს. მისი მიზანია დაეხმაროს ჯგუფს განსაზღვროს პრობლემის სასურველი გადაწყვეტა ან შეუმშავოს საქმიანობის გეგმა/თანამიმდროობა. ეს ხორციელდება იდეების გენერირების, ჯგუფური განხილვის და სისტემატური ხმის მიცემის საშუალებით.

- ჩამოაყალიბეთ პრობლემის განსაზღვრება
- სთხოვეთ მონაწილეებს იშუშავონ დამოუკიდებლად და ჩამოწერონ პრობლემის გადაწყვეტის რაც შეიძლება მეტი ვარიანტი.
- მონაწილეთა პასუხები ზუსტიად იწერება დიდ ფურცელზე ან დაფაზე სანამ არ ამოიწერება იდეები.
- შემდეგ მონაწილეები განახილვენ თითოეულ იდეას ისე რომ ის ყველასთვის გასაგები იყოს. ატენტი ამ ეტაპზე იდეების ნათლად გამოხატვაზე კეთდება და არა მათი რეალურობის (განხორციელებადობის) შეფასებაზე.
- ჩამოწერილი იდეებიდან ინდოვიდუალურად მონაწილეები არჩევენ 3-5 იდეას, რომლებიც ყველაზე მეტად მოსწონთ და წერენ მათ ბარათებზე, თითო იდეა თითო ბარათზე. ხმების დათვლა ხდება ბარათების მიხედვით

ეცადეთ შეხვედრებზე შექმნათ მეგობრული გარემო, რაც საშუალებას მოსცემს მონაწილეებს გაიხსნან და გულახდილად ჩამოაყალიბონ თავიანთი შეხვედრულები. კითხვები მოაფიქრეთ და ჩამოწერეთ წინასწარ.

სოფლის ყრილობა

სოფლის ყრილობის მონვევით ჩვენ უზრუნველყოფთ მოსახლეობის დიდი რაოდენობით ჩართულობას და მოკლე დროში ეგებულობთ თუ რა პრობლემები აწუხებს მოსახლეობას. სასურველია სოფლის ყრილობას ესწავებოდეს თითო ოჯახიდან თითო წარმომადგენელი მაინც.

სოფლის ყრილობის მონვევა ყველაზე ეფექტურია იმ შემთხვევაში როცა ჩვენ გვსურს იმ პრობლემების ჩამოყრა, რომელიც აწუხებს მოსახლეობას. სოფლის ყრილობის მონვევა არაეფექტურია თუ პრობლემების სიღრმისეული ანალიზი გვსურს და საპროექტო იდეების პრიორიტეზაცია გვინდა მოვახდინოთ. სოფლის ყრილობის მინუსად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ მოუხედავად მონაწილეთა დიდი რაოდენობისა შესაძლოა ისინი მაინც არ წარმოადგენდნენ მოსახლეობის ყველა ფენას. მაგალითად, როცა მონაწილეთა უმრავლესობა მამაკაცია, იზღუდება ქალთა ინტერესები, ან თუ ახალგაზრდები მონაწილეთა უმცირესობას წარმოადგენენ, მათი ინტერესები ნაკლებად იქნება გათვალისწინებული.

საჯარო განხილვები

მას შემდგომ, რაც დასრულდება სოფლის პრობლემების გამოვლენა-პრიორიტეზაცია სოფლად და ჩნმუნებული მიანდვის ინფორმაციას ადგილობრივ თვითმართველობას, აუცილებელია მოსახლეობა საქმის კურსში იყოს და იცოდეს თუ რა მსედელობა მიეცემა მათ მონაწილეობის აღნიშნულ პროცესებში.

მოსახლეობის ინფორმირებისათვის საუკეთესო ინსტრუმენტია საჯარო განხილვების მონყობა. საჯარო განხილვა უნდა მიეძღვნას მოსახლეობის მიერ გამოვლენილი რომელიმე ერთი კონკრეტული საკითხის ადგილობრივი თვითმართველობის მიერ გადაწყვეტას.

საზოგადოების მოსაწვევად უნდა შედგას განცხადების ტექსტი, სადაც ზუსტად მიუთითებთ შეხვედრის მიზანს, დროსა და ადგილს. აღნიშნული განცხადება შეხვედრამდე ორი კვირით ადრე მაინც უნდა გამოაქვეყნოთ - გახადოთ საჯარო და ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის თქვენს ხელთ არსებული ყველა საინფორმაციო საშუალებით. მოახდინეთ იმ ინტერესთა უკუფობის ინფორმირება შეხვედრის მონყობის თაობაზე, რომლებზეც უშუალოდ ახდენს გავლენას განსახილველი გადაწყვეტილება.

გახსოვდეთ, საჯარო განხილვები საზოგადოებისათვის ხელსაყრელ დროს უნდა დაინიშნოს - მაგალითად, საღამოს, სამუშაოს დასრულების შემდეგ. რაც შეეხება შეხვედრის ადგილს, სასურველია იგი შედგეს არა ადმინისტრაციულ არამედ კულტურულ დანესებულებებში. ეს კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს იმას, რომ შეხვედრის ორგანიზატორს ნამდვილად სურს ახლოს იყოს ხალხთან და გაიზიაროს მისი შეხედულებები.

დიდი მნიშვნელობა აქვს შეხვედრის მიზნის ზუსტად ფორმულირებას, რათა მოსული საზოგადოება წინასწარ შეამზადოს და იყოს კონცენტრირებული განსაზღვრულ საკითხზე.

სასურველია, რომ საჯარო მოსმენები არ გაგრძელდეს 2 საათზე მეტ ხანს.

